## მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

*მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის* - პროექტის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი და სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

**პროექტს ახორციელებს CENN შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით:**

- **ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი**
- **დემოკრატიის ინსტიტუტი**
- **ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)**

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD IV-ის ფარგლებში. პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი (8 დეკემბერი, 2022 – 8 დეკემბერი, 2025).

## პროექტის საქმიანობები

**პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:**

- ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) შექმნა თანამონაწილეობრივი გზითა და ევროკავშირის „ლიდერის“ (LEADER) პრინციპებზე დაყრდნობით;

- ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავება გენდერის, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (RBA) გამოყენებით;

- ადგილობრივი ეკონომიკის ‚გამწვანება‘ და დივერსიფიკაცია ინოვაციური და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებით;

- სამოქალაქო ჩართულობის პროცესების ხელშეწყობა და ქალების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების/საზოგადოების გაძლიერება, რათა მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოახდინონ სხვადასხვა საკითხის ადვოკატირება მოწყვლადი ჯგუფებისათვის ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებისა და სამართლიანი და მდგრადი პოსტკოვიდური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

## რა არის სოფლის განვითარება ევროკავშირის ლიდერის (LEADER) მიდგომით?

სოფლის განვითარება ლიდერის (LEADER) მიდგომით აქტიურად გამოიყენება ევროპის ქვეყნებში 90-იანი წლებიდან. LEADER არის ფრანგული სიტყვების აკრონიმი (Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale), რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკასა და განვითარების ქმედებებს შორის. ამ მიდგომის მთავარი იდეაა სოფლის განვითარების ხელშეწყობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებითა და მათი ძალისხმევის გაერთიანებით. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებას ადგილობრივი სტრატეგიის შექმნისა და რესურსების გამოყენების გზით. ამ მიდგომით, სოფლის განვითარების მთავარი ინსტრუმენტი ადგილობრივი განვითარების ჯგუფებია, ხოლო განვითარების მთავარი რესურსი - სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც შეუძლია, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები არსებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით. ლიდერის (LEADER) პროცესი გულისხმობს კავშირების დამყარებას ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით და ადგილობრივი თემების გაერთიანებას საერთო მიზნებისა და ხედვის ირგვლივ.

## LEADER მიდგომის შვიდი ძირითადი მახასიათებელი

1. კონკრეტულ ტერიტორიაზე დამყარებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება თანამონაწილეობრივი გზით;
2. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება ქვემოდან ზემოთ პრინციპით;
3. ადგილობრივი პარტნიორობისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების გაძლიერება;
4. ინოვაციების ხელშეწყობა: ტექნიკურ ინოვაციებთან ერთად იმ სოციალური ინოვაციების წახალისება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლებისათვის;
5. ინტეგრირებული და მრავალსექტორული ქმედებები;
6. კავშირების დამყარება და გამოცდილების გაზიარება სოფლის განვითარებაში ჩართულ სხვა ჯგუფებთან;
7. თანამშრომლობა სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივ განვითარების ჯგუფებთან, ერთობლივი პროექტების/ინიციატივების განსახორციელებლად.

## რა არის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)?

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი არის აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანება, რომელიც ახდენს სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას. ადგილობრივ განვითარების ჯგუფში მონაწილეობას იღებენ როგორც საჯარო და კერძო სექტორის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები (წევრთა შესაბამისი თანაფარდობით), მათ შორის: ფერმერები, მეწარმეები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი მცხოვრებლები, სერვისების მიმწოდებლები, მედიაორგანიზაციები, ქალთა გაერთიანებები, ახალგაზრდები, შშმ პირები და სხვ.

## რა არის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია?

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია არის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით. ადგილობრივთა ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში არის დოკუმენტის შემუშავების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სტრატეგია შემუშავებულ უნდა იქნას ე.წ. ქვემოდან-ზემოთ პრინციპით. ადგილობრივი საჭიროებების უკეთ შეფასებისა და მათი პრიორიტეტიზაციის მიზნით, სამუშაო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივთა მრავალმხრივ ჩართულობას.

## პროექტის სხვა მიდგომები

- ჩართულობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდებისათვის;
- ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება;
- კავშირების დამყარება სხვა ადგილობრივ განვითარების ჯგუფებთან საქართველოსა და ავსტრიაში;
- ადგილობრივი ბიუჯეტის მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- მეწარმეობის ხელშეწყობა;
- ინვესტიციების მოზიდვა რეგიონის განვითარებისათვის;
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობის მედეგობის გაზრდა კლიმატის ცვლილების მიმართ;
- მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიების შესაბამისი ინოვაციური პროექტების დაფინანსება მეწარმეობის ხელშეწყობისა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
- მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიების თანამონაწილეობრივი შემუშავება და ლობირება;
- გურიის რეგიონის პოპულარიზაცია და მარკეტინგი;
- სინერგიები სხვა ინიციატივებთან.

## პროექტის სამიზნე და ბენეფიციარი ჯგუფები

პროექტის სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები არიან: ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები, ადგილობრივი ხელისუფლება, რეგიონული ხელისუფლება, ფერმერები, მეწარმეები, ტურისტულ სერვისებში ჩართული პირები, სასწავლო დაწესებულებები და ახალგაზრდები, ადგილობრივი და რეგიონული მედიაორგანიზაციები.

## პროექტის მოსალოდნელი შედეგები

- **გაუმჯობესებულია მონაწილეობითი მექანიზმები მდგრადი სოფლისა და ტერიტორიული განვითარებისათვის.** შექმნილია ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობითა და თანაბარი გენდერული და ახალგაზრდული ჯგუფების მონაწილეობით. ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს აქვთ უნარი, აქტიურად ჩაერთონ სოფლის დაგეგმარებისა და განვითარების პროცესებში LEADER/CLLD -ის პრინციპების გათვალისწინებით.

- **გაუმჯობესებულია პოლიტიკური დიალოგი და სოფლის განვითარების მიდგომების მონაწილეობითი განხორციელება.** გენდერულ ჯგუფებსა და ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე 3 სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის; ადგილობრივი განვითარების სტრატეგიები მოიცავს ადგილობრივი აქტორების, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების, საჭიროებებსა და შესაბამის SDG-ებს, SDG ლოკალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების პრიორიტეტები და მდგრადი სოფლის საარსებო წყაროების ხელშემწყობი მექანიზმები აისახება როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში, ისე ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ბიუჯეტებში.

- **ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობები დივერსიფიცირებულია.** სოფლის ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ინკლუზიური მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირება და შეთავაზება ხდება მდგრადი პროექტების განხორციელების გზით (უფრო მასშტაბური რეპლიკაციის პოტენციალით), რომლებიც იზიდავენ ტექნიკური უნარების მქონე ადამიანებს და აფერხებენ სოფლების დეპოპულაციას. პროექტების მხარდაჭერა ქმნის დამატებით შესაძლებლობებს, აძლიერებს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს და აუმჯობესებს: სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ტყით სარგებლობის კონკურენტუნარიანობას; ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციას; და საჯარო სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობასა და ბუნებრივი რესურსების მართვას.

- **გაუმჯობესებულია სამოქალაქო ჩართულობა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა,** ქალების, ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ადგილობრივი სერვისების ციფრული და სოციალური ინოვაციების დანერგვის, დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანი პარტნიორობის დემონსტრირების გზით. მხარდაჭერილია ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ქალების ინიციატივები და ადვოკატირების კამპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირის ღირებულებების გატარებას, თანამონაწილეობრივ ადგილობრივ დემოკრატიას, გენდერულ თანასწორობას, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და პოსტკოვიდური სიტუაციის გამოსწორებას.

## ვინ ვართ ჩვენ?

### CENN

CENN რეგიონული განვითარების ორგანიზაციაა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მასშტაბით გარემოს დაცვის მიმართულებით მუშაობს, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ ვსპეციალიზდებით მთელ რიგ სფეროებში, როგორებიცაა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა, რესურსების მდგრადი მართვა, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის განმტკიცება, კლიმატის მიმართ მედეგი, ჯანსაღი და წარმატებული თემების განვითარება და ქალების, გოგონებისა და ახალგაზრდების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ინკლუზიური გადაწყვეტების შექმნაში მონაწილეობის მიღება.

სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონში, 60-ზე მეტი სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლითა და მოხალისეთა ქსელით წარმოდგენილ CENN-ს შესწევს უნარი და გააჩნია მისწრაფება უზრუნველყოს თანმიმდევრული, პროფესიონალური და უმაღლესი ხარისხის მომსახურება. ჩვენ ვქმნით და ვთავაზობთ თანამედროვე გადაწყვეტებს სამთავრობო და ბიზნეს სექტორებისთვის და თემებისთვის, ვეხმარებით მათ გარემოსდაცვითი და მომიჯნავე რისკების მართვასა და გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესების კუთხით კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში.

## პარტნიორები:

### ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი 1996 წლიდან საქართველოს მოსახლეობის მოწყვლადი ფენების სოციალური უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის მუშაობს. ორგანიზაციას სამი მთავარი მიმართულება აქვს: მოზარდების/ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დემოკრატიული პროცესების გაძლიერება და სახელმწიფოს სოციალური დაცვის პოლიტიკის/პროგრამების გაუმჯობესებაში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი მრავალი წელია ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობს, რაც მოიცავს ადგილობრივ დონეზე სათემო პრობლემის იდენტიფიცირების, ადვოკატირების კამპანიებისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას.

### დემოკრატიის ინსტიტუტი

დემოკრატიის ინსტიტუტი 2004 წლიდან ფუნქციონირებს, რათა მან თავის საქმიანობით მხარი დაუჭიროს საქართველოში სწრაფი და თანამედროვე განვითარების პროცესებს სხვადასხვა ინსტიტუტებთან და საერთაშორისო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ორგანიზაციის მისიაა ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და დაიცვას ადამიანის უფლებები. დემოკრატიის ინსტიტუტი, ძირითადად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოპერირებს და, ასევე, ახორციელებს პროგრამებს დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა-ადვოკატირება, კარგი მმართველობის განვითარების მხარდაჭერა, სექტორთა შორის თანამშრომლობა, კერძო-საჯარო დიალოგის პროცესის მხარდაჭერა, პროფესიული განათლების და კარიერული ზრდის ხელშეწყობა.

დემოკრატიის ინსტიტუტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლად სხვადასხვა ჯგუფების ეკონომიკური განვითარება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალგზარდებში და ქალებში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა.

### ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის აქტიურ მოქალაქეებს აერთიანებს, 2017 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CENN-ის პროექტის - ქედა ლიდერი - ფარგლებში შეიქმნა. მას შემდეგ, LAG ხელს უწყობს ქედის მუნიციპალიტეტში ინკლუზიურ განვითარებას და სოფლად კეთილდღეობის გაუმჯობესებას ინოვაციური მიდგომების ინტეგრირების გზით, რამაც ადგილობრივ დონეზე დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობები შექმნა.

## როგორ ჩავერთოთ პროექტში?

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელიც დაინტერესებულია გურიის რეგიონის განვითარების საკითხებით.

## დაგვიკავშირდით:


**ნინო გაფრინდაშვილი**
CENN

**მწვანე გურია**
პროექტის მენეჯერი
nino.gaprindashvili@cenn.org
+995 593 92 48 44
www.cenn.org


**დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის ENPARD პროგრამის შესახებ იხილეთ ვებგვერდზე:**
www.eu4georgia.eu


**ეს საინფორმაციო ბროშურა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.**


ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
Young Pedagogues' Union

ქედა ლიდერი
ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

ვამაყობთ მრავალფეროვნებით